



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 200/ს
05/05/2023

200-21-4-202305051303



ქალაქ თბილისში შპს „ავზი 94“-ის 4950 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ავზი 94“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 226521092) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 3 ნოემბერს (წერილი N6111) წარმოდგენილია ქ. თბილისში, 4950 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N460/ს; 14/11/2022) შექმნა. სააგენტომ ასევე უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“ მიერ.

2022 წლის 6 აპრილს, შპს „ავზი 94“-ის მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იყო ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 127/ს; 07/06/2022, სკოპინგის დასკვნა №27).

სკოპინგის ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. 2022 წლის 15 აპრილის №3870/01 წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2022 წლის 18 აპრილს და 2022 წლის 2 მაისს, განხორციელდა შპს „ავზი 94“-ის კუთვნილი ნავთობპროდუქტების საცავის დათვალიერება/შესწავლა. ინსპექტირების შედეგად დადგინდა რომ სარეზერვუარო პარკი მოწყობილი იყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. ასევე დაფიქსირდა ტერიტორიის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების ფაქტები, რაც წარმოადგენს

ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რის გამოც, შპს „ავზი 94“-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის 9 ივნისის №002363 დადგენილებით განესაზღვრა ფულადი ჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის, 84-ე მუხლის 3¹ ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, ასევე შპს „ავზი 94“-ის ნავთობპროდუქტების საცავის 2021 წლის 27 იანვრის ინსპექტირების შედეგად, 2021 წლის 10 თებერვალს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №059391 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამასთან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 13 სექტემბრის №002098 ადმინისტრაციული მიწერილობის საფუძველზე კომპანიას შეეზღუდა საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ 4950 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის ქ. N 6-ში, შპს „ავზი 94“-ის საკუთრებაში არსებულ 11430 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.05.02.724). შენობა-ნაგებობების განაშენიანების ფართობი შეადგენს 3200 მ². ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია შემოსაზღვრულია ბეტონის ღობით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს შპს "ჯი ემ ფარმასიუთიქალს"-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელზეც ფუნქციონირებს კომპანია „ჰსპ“-ს ფარმაცევტული ბაზა, რომლის დაშორების უმოკლესი მანძილი შპს „ავზი 94“-ის მიწის ნაკვეთამდე შეადგენს 60 მეტრს. ნაკვეთის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ფონიჭალის დასახლების საცხოვრებელი ზონა. მანძილი ნავთობპროდუქტების საცავის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაახლოებით 25 მ-ია, ხოლო სარეზერვუარო პარკის ტერიტორიიდან დაცილების მანძილი 70 მ-ს შეადგენს. 115 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „ვასაძის კური“-ს კურ-ფუნთუშეულის მწარმოებელი ობიექტი, ხოლო შპს „ლედა“-ს სასაწყობო მეურნეობა 250 მეტრით. უახლოესი წყლის ობიექტია მდ. მტკვარი, რომელიც ტერიტორიიდან დაშორებულია 1,45 კმ მანძილით. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან დასავლეთით გადის თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ავზი 94“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეობს ავტოგასამართი სადგური, რომელიც მოეწყო 2010 წელს და რომელსაც შპს „ფავორიტი 555“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის არაქმედების, საქმიანობის განხორციელების ადგილის და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ანგარიშის თანახმად, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია არსებულ ობიექტზე, რის გამოც, ადგილმდებარეობის ალტერნატივა გულისხმობს ობიექტის კონსერვაციას და შესაბამისად იგი არაქმედების ალტერნატივის იდენტურია, ხოლო არსებული ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციის პროექტზე უარის თქმის შემთხვევაში საჭირო გახდება მსგავსი ტიპის ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაცია სხვა ტერიტორიებზე, რაც გარემოზე დამატებითი ზემოქმედების გამოძწვევი შეიძლება იყოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი ფუნქციონირებს 1995 წლიდან, რომელსაც სხვადასხვა დროს ჩაუტარდა სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დღეისათვის ტერიტორიაზე განთავსებულია ოთხი მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარი, მათ შორის 2 - 1000 მ³ და 2 - 400 მ³ მოცულობის. ასევე, ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოეწყო 8 - 25 მ³ მოცულობის მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარი. ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია 5 ერთეული 60 მ³ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელთა დიამეტრია 2,5 მ, სიგრძე - 13 მ-მდე. საძირკვლად გამოყენებულია 50-60 სმ სისქის ხრემის ფენა მასზე განთავსებული 20-30 სმ თიხის ფენით. რეზერვუარები მთლიანად ჩაფლული არიან გრუნტში. ტერიტორიაზე არსებობს ადმინისტრაციული შენობა, სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები (ფარდულის ტიპის), ავტოცისტერნებში საწვავის გასაცემი უბანი, სატუმბი სადგური და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში მოხდება არსებული ოთხი დიდი მოცულობის ვერტიკალური რეზერვუარის მოწესრიგება-განახლება, რომელთაც დაემატება 2 რეზერვუარი, რის შედეგადაც ნავთობპროდუქტების საცავის ვერტიკალური სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში იქნება: 4 -1000 მ³, 1 - 400 მ³ და 1 - 200 მ³ მოცულობის რეზერვუარები. არსებული 8 მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარიდან ექვსი ერთეული მოიხსნება და დარჩება მხოლოდ 2 - 25 მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარი, ასევე უცვლელი დარჩება 5 ერთეული მიწისქვეშა (თითოეული 60 მ³) რეზერვუარი. რეკონსტრუირებული, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა იქნება 4950 მ³, საწვავის შესანახი რეზერვუარების ჯამური რაოდენობა კი 13 ერთეული. კერძოდ, 6 ერთეული მიწისზედა ვერტიკალური სარეზერვუარო პარკი - 4600 მ³ მოცულობის, 5 ერთეული მიწისქვეშა ჰორიზონტალური პარკი - 300 მ³ მოცულობის და 2 ერთეული მიწისზედა ჰორიზონტალური პარკი - 50 მ³ მოცულობის (თითოეული 25 მ³ მოცულობის). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდგომ ბენზინის საწვავის რეზერვუარების საერთო მოცულობა იქნება 1720 მ³ (1 - 1000 მ³, 1 - 400 მ³, 1 - 200მ³, 2 - 60 მ³), ხოლო დიზელისთვის 3180 მ³ (3 - 1000 მ³, 3 - 60 მ³).

რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია ტექნოლოგიური მილსადენების და სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების განახლება, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებული დაზინძურებული გრუნტის მოხსნა და გატანა, სარეზერვუარო პარკის გარშემო ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევისთვის შემაკავებელი ბეტონის შემოზღუდვის მოწყობა, ნავთობით დაზინძურებული საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის-ნავთობდამჭერის მოწყობა, შიდა გზების და მოედნების შეკეთება, ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოების რემონტი, გამცემი ესტაკადის მოწესრიგება, საწვავის მიმღები და გამცემი ტუმბოების შეკეთება-შეცვლა, გასაცემი მილსადენების და მექანიკური გამწმენდი ფილტრების დარეგულირება, სანიაღვრე წყლების შემკრები ჭების და ჩასაშვები არხების მოწესრიგება და ა.შ.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდება დაახლოებით 1 წლის განმავლობაში. რეკონსტრუქციის ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა იქნება 50, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 20 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ყველა რეზერვუარი აღჭურვილი იქნება CM/TK-150-ით (თავსებადი მექანიკური სასუნთქი სარქველი-თმსს), ბენზინის მიწისზედა ვერტიკალურ რეზერვუარებში დამატებით გამოყენებული იქნება KIII-150 (სარქველი დამცველი ჰიდრაულიკური - სდჰ). მიწისქვეშა რეზერვუარებს ექნებათ ღრმა ჩასხმის,

ხოლო მიწისზედა რეზერვუარებს - საწვავით ქვედა შევსების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის მიღების დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 60%-ით შემცირებას. ყველა რეზერვუარზე გათვალისწინებულია: სასუნთქი სარქველი, სანათური, საძვრენი ხვრელი, მეხამრიდები, დამიწების საშუალებები და სხვადასხვა ხელსაწყოები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვერტიკალური რეზერვუარები წარმოადგენენ 4-8 მმ სისქის ფურცლოვანი ლითონისაგან დამზადებულ ვერტიკალურ ცილინდრულ ნაგებობებს, ლითონის სახურავით და ძირით, რომლებზეც დამონტაჟებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობები მათი უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული რეზერვუარები განთავსდებიან ხრეშის ხელოვნურ ფუძეზე. რეზერვუარების პარკის ტერიტორიის ავარიული დაღვრისგან დაცვის შემთხვევისთვის დაგეგმილია ბეტონის კედლით შემოღობვა. შემოზღუდვის საერთო ფართობი იქნება 1960 მ², ბეტონის შემოზღუდვის სიმაღლე - მინიმუმ 0,6 მ. შიდა მოცულობა - 1176 მ³. ატმოსფერული ნალექების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა დაღვრილი სითხეების, რეზერვუარების საძირკვლების ფუძეებში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, რეზერვუარების პარკის მთელი ტერიტორია, შემოზღვინვის შიგნით, დაფარული იქნება 30 სმ სისქის თიხით, რკინაბეტონის ღარებისკენ თანაბარი დახრით. რკინაბეტონის ღარები ეწყობა ნალექების შეკრების და რეზერვუარების პარკიდან გარეთ გაყვანის მიზნით. რკინაბეტონის ღარები შეერთებულნი იქნებიან ერთმანეთთან 200 მმ დიამეტრის კერამიკული ან პლასტმასის მილით. სარეზერვუარო პარკის პოტენციურად დაბინძურებული წყლები გაყვანილი იქნება გამწმენდი ნაგებობებისაკენ. რეკონსტრუქციის პროცესში გათვალისწინებული იქნება მიწისზედა 25 მ³ მოცულობის რეზერვუარების შემოზღუდვაც, რომლის საერთო ფართობი იქნება 50 მ², ბეტონის შემოზღუდვის სიმაღლე - მინიმუმ 0,6 მ. შიდა მოცულობა - 30 მ³.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების მიღება მოხდება 42 მ³ მოცულობის ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც ქვედა დაცლის სისტემის მეშვეობით შეივსება 800 მ. მანძილით დაშორებული რკინიგზის ჩიხში შემოსული ვაგონცისტერნებიდან. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე შესული ავტოცისტერნა გაჩერდება სპეციალურად მოწყობილ საწვავის მიმღებ-გასაცემ მოედანზე, რომელიც მოწყობილი იქნება ლითონის კონსტრუქციებით შესრულებული, მსუბუქი გადახურვით. ერთდროულად შესაძლებელი იქნება დაიცალოს ორივე სახის ნავთობპროდუქტი: დიზელის საწვავი ან ბენზინი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტუმბოების საშუალებით, სარეზერვუარო პარკის მიწისქვეშა მილმდენებით საწვავის მიღება მოხდება რეზერვუარის ფსკერიდან 0.4 მეტრ სიმაღლეზე განთავსებულ საწვავის მისაღებ სისტემაში, ჰერმეტიკულობის კონტროლით. ყველა რეზერვუარს ექნება შევსების მაჩვენებელი მოწყობილობა. ანგარიშის თანახმად, საწვავის მიღება ხდება შესაბამის რეზერვუარში, რომელიც საწვავის მიღების მომენტისთვის იმავდროულად არ წარმოადგენს საწვავის გამცემ რეზერვუარს. საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღიჭურვება მექანიკური ფილტრებით. ყველა სახის ნავთობპროდუქტების გაცემა იწარმოებს ავტოცისტერნებით. ერთდროულად შესაძლებელია ორი ავტოცისტერნის მომსახურება. ავტოცისტერნებში საწვავის ჩატვირთვა მოხდება ზედა ჩასხმის ACH-100A მოწყობილობით, სისტემა იძლევა ჩასხმის პროცესის მართვისა და მისი ავტომატური ამორთვის საშუალებას. სატუმბო სადგურიდან რეზერვუარამდე და რეზერვუარიდან ავტოცისტერნებამდე ყველა ცალკეული პროდუქტისათვის დამონტაჟებულია ცალკე დამოუკიდებელი მილსადენი, რათა გამოირიცხოს ამ პროდუქტების ერთმანეთში შერევა.

საწვავის მისაღებად განსაზღვრულია 2 ერთეული (მოქმედი და სათადარიგო) 75 მ³/სთ სიმძლავრის ტუმბოების გამოყენება, ხოლო დიზელის და ბენზინის საწვავის გასაცემი ესტაკადიდან ავტოცისტერნებში გასაცემი ტუმბოები 75 და 20 მ³/სთ სიმძლავრისაა (2-2 ერთეული, მოქმედი და სათადარიგო).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მიმღები მიწების შესვლის ადგილები და გამცემი მიწების დასაწყისი უზრუნველყოფილი იქნება მათში სითხის სიჩქარის, წნევის, უნარჩენო გავლის და რაოდენობის რეგულირებით. დაგეგმილია მიმღები და გამცემი წერტილების შესაბამის სიმაღლეზე მოწყობა და სპეციალური სარქველებით აღჭურვა, ასევე მექანიკური ფილტრის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის მიღების დროს ნახშირწყალბადების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის 60%-ით შემცირებას, ხოლო გასაცემი ესტაკადის გამცემი კომპლექსით ავტოცისტერნაში ღრმა ჩასხმის დროს გაფრქვევის მინიმუმ 40 %-ით შემცირებას.

საწარმოს შიგნით ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ძირითადად შესრულებული იქნება მიწისზედა გადაწყვეტით, რკინა-ბეტონის დაბალ საყრდენებზე. შიდა გზების გადაკვეთის ადგილზე მილგაყვანილობა შესრულებული იქნება მიწისქვეშა გადაწყვეტით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დაგეგმილია ქაფწარმოქმნელი კომპლექსის - გპს-600-ის და წყლის ავზების მოწყობა, საერთო მოცულობით 315 მ³, რომლის შევსება იწარმოებს ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებობს მოხრეშილი სახანძრო გზა, რომელიც უკავშირდება ძირითად და სარეზერვო გასასვლელ გზებს, ხოლო ყველა შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ავტომატური მისაღვრით.

ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო (რეზერვუარების და ტექნოლოგიური მოედნების მოსარეცხად, საწარმოო უბნების დასუფთავებისთვის) და სახანძრო დანიშნულებით. ობიექტის წყალმომარაგება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ ქ. თბილისის წყალმომარაგების ქსელიდან. ანგარიშის მიხედვით, რეკონსტრუქციის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რომლის ხარჯი იქნება 375 მ³/წელ. ხოლო ექსპლუატაციის დროს წყლის ხარჯი იქნება 1450 მ³/წელ.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო ფეკალური, საწარმოო (რეზერვუარებისა და ტექნოლოგიური მოედნების ნარეცხი წყლები) და სანიაღვრე წყლები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე გადის სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების არინების სისტემა, რაც საშუალებას იძლევა ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაშვებული იქნეს ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელის კოლექტორში. ანგარიშის მიხედვით, გადახურულ უბნებზე მოდენილი სანიაღვრე წყლები (პირობითად სუფთა) პირდაპირ დაერთდება სანიაღვრე წყლების არინების ქსელთან. საწარმოო და რეზერვუარების პარკიდან გამოსული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლები იკრიბება სპეციალურ მილსადენებში და რკინაბეტონის ღარებში, სარეზერვუარო პარკიდან გამოსვლის წინ დაბინძურებული წყლები გროვდება შემოზვინვასთან ახლოს მდებარე სპეციალურ ჭაში, რომელშიც მოწყობილია ჩამკეტი მოწყობილობა, ხოლო შემდგომ გადადის გამწმენდ ნაგებობაში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყლების გაწმენდისთვის გათვალისწინებულია უკრაინული წარმოების FSN-6 მარკის ნავთობდამჭერი დანადგარის მონტაჟი, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების შეწონილი ნაწილაკებისა და ნავთობის ნახშირწყალბადებისაგან გაწმენდას, რომლის

წარმადობაა 6 ლ/წმ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გაწმენდის შემდეგ მიღებული კონცენტრაციებია: შეწონილი ნაწილაკებისათვის - 60 მგ/ლ, ხოლო ნავთობპროდუქტებისათვის - 0,28 მგ/ლ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობდამჭერში გაწმენდილი წყლები ჩაშვებული იქნება ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციის ქსელში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ობიექტისთვის შერჩეული ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო ტერიტორიის დიდი ნაწილი მოშანდაკებულია ხელოვნური საფარით. ობიექტის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის ეტაპზე, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიულმა დაღვრამ/გაჟონვამ და ნარჩენების არასწორმა მართვამ. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში, ასახულია ნავთობპროდუქტების საცავების ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რეკონსტრუქციის ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად გამოწვეული იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკით. ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ დიზელის და ბენზინის შესანახი რეზერვუარები, ტუმბოები და ავტოცისტერნების შევსების სვეტი.

ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: გოგირდწყალბადი, ნახშირწყალბადები C₁-C₅, ნახშირწყალბადები C₆-C₁₀, პენტილენი-ამილენი, ბენზოლი, დიმეთილბენზოლი, მეთილბენზოლი, ეთილბენზოლი, ნახშირწყალბადები C₁₂-C₁₉.

გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო ციკლის ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის დროს, რომლის მიხედვითაც ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს არც ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (25 მ).

ნავთობპროდუქტების საცავის როგორც რეკონსტრუქციის ასევე ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელია უსიამოვნო სუნის გავრცელება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რეკონსტრუქციის პროცესში, სამუშაოები, რომელიც უსიამოვნო სუნის გავრცელებას უკავშირდება, არ იქნება ხანგრძლივი. ექსპლუატაციის ეტაპზე, სუნის გავრცელება ძირითადად საწვავის მიღება-გაცემის უბნის ფუნქციონირებით იქნება გამოწვეული, ასევე სუნის გავრცელებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რეზერვუარების პერიოდული გასუფთავების დროს. უსიამოვნო სუნის მთავარი მიზეზი იქნება ნავთობის ნახშირწყალბადების ემისიები. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია ნახშირწყალბადების კონცენტრაციების გაზომვა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციები

საკონტროლო წერტილებში არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო უსიამოვნო სუნის გავრცელების შესამცირებლად გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

საქმიანობის განხორციელების პროცესში, ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მოხდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვება და შესაბამის კონტეინერებში განთავსება. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განხორციელდება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში და გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. ასევე, ბენზინისა და დიზელის საწვავის შესანახი რეზერვუარების გაწმენდის დროს წარმოქმნილი ნავთობის შემცველი ნარჩენების, სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობაში (ფილტრ-სეპერატორში) დაგროვილი და სხვა სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები (5-6 ერთეული სატვირთო ავტომანქანა, 2 ექსკავატორი, 2 ამწე, 1 ბულდოზერი). ანგარიშში, აღნიშნულია რომ რეკონსტრუქციის ეტაპზე, ნავთობსაცავის ტერიტორიაზე მოქმედი ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე ტერიტორიაზე იქნება 94.1 დბა. ინტენსიური სარეკონსტრუქციო სამუშაოების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი ტერიტორიის საზღვრამდე მანძილის და საცავის ტერიტორიაზე შემომსაზღვრელი ბეტონის ღობის საშუალებით აღნიშნული მაჩვენებელი შეიცვლება 46-51 დბა-მდე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, რეკონსტრუქციის სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პერიოდში, ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ნავთობის ბაზის ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულება, რის შედეგადაც, ხმაურის დონე ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე იქნება 91 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ ზონასთან დაშორების მანძილის და შემომსაზღვრელი ბეტონის ღობის გათვალისწინებით აღნიშნული მაჩვენებელი 43-48 დბა-მდე შემცირდება. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელების შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების (ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) მხოლოდ დღის საათებში წარმოება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება ხმაურის მონიტორინგი ნავთობპროდუქტების საცავის სრული დატვირთვის დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციის პერიოდში, სატრანსპორტო ნაკადზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ტრანსპორტირება განხორციელდება დაახლოებით 1 თვის განმავლობაში, ხოლო დღის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 4-5 სატრანსპორტო ოპერაცია, რისთვისაც გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის

საავტომობილო გზები - რუსთავის მაგისტრალი (თბილისი - წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი)) (ს-4) და თბილისის შემოსავლელი (ს-9) გზა. ექსპლუატაციის პერიოდში, სარკინიგზო ჩიხიდან პროდუქციის ტრანსპორტირება ავტოცისტერნების საშუალებით მოხდება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო საზოგადოებრივ გზებზე დატვირთვა ძირითადად მოსალოდნელია საწვავის ქსელში გადანაწილების პროცესში, რისთვისაც გამოყენებული იქნება 42 მ³ მოცულობის ავტოცისტერნები. დღის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 8-10 სატრანსპორტო ოპერაცია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, უპირატესობა მიენიჭება ს-4 და ს-9 მაგისტრალების გამოყენებას, თუმცა საქმიანობიდან გამომდინარე თბილისის შიდა გზების გამოყენებაც მოხდება და ტრანსპორტირება განხორციელდება ნაკლებად დატვირთულ პერიოდებში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმური პირობები. ნავთობპროდუქტების საცავის მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სახეობებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები არ არის წარმოდგენილი, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, კრწანისის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა შესაბამის გაზეთში, ასევე სოფ. ფონიჭალის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილზე. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 19 დეკემბერს ქ. თბილისის N 218 საჯარო სკოლის შენობაში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი - შპს „ავზი 94“-ის, საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“ და კრწანისის რაიონის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის ფარგლებში, დამსწრე საზოგადოების მხრიდან, პროექტთან დაკავშირებით კითხვები ეხებოდა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების საკითხებს, რაზეც საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“ და შპს „ავზი 94“-ის წარმომადგენლების მხრიდან გაიცა პასუხები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/790), შპს „ავზი 94“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N2541). კერძოდ: შპს „ავზი 94“-მა წარმოადგინა საქმიანობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის (ს/კ

81.05.02.724) ზონის ცვლილებასთან (სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით შეცვლა) დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებულნი საზოგადოებისათვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, სოფ. ფონიჭალაში შპს „ავზი 94“-ის 4950 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ავზი 94“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, მათ შორის ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ავზი 94“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ავზი 94“-მა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და ექსპლუატაციის დაწყებამდე სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, როგორც ობიექტის საზღვრის პერიმეტრზე, ასევე უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS (X,Y) კოორდინატები. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „ავზი 94“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება თვეში ერთხელ მავნე ნივთიერებათა შემდეგი სახის კომპონენტებზე: გოგირდწყალბადი(H₂S) და ნაჯერი ნახშირწყალბადები(CH) და შედეგების სააგენტოში წელიწადში ერთხელ წარმოდგენა;
7. შპს „ავზი 94“-მა ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე (მონიტორინგის შედეგად) უახლოეს დასახლებულ პუნქტთან უსიამოვნო სუნის

გავრცელების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და გამოვლენიდან 1 თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. ექსპლუატაციისას უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;

8. შპს „ავზი 94“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე თვეში ერთხელ, ასევე დამატებით მოსახლეობის საჩივრის/განცხადების საფუძველზე უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება უახლოეს მოსახლეობთან ინსტრუმენტული მეთოდით და შედეგების 6 თვეში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა (მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS (X,Y) კოორდინატების მითითებით). მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;
9. შპს „ავზი 94“-მა ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
10. შპს „ავზი 94“-მა ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და გამწმენდი ნაგებობის გამართულობისა და ეფექტურობის მუდმივი კონტროლი;
11. შპს „ავზი 94“-მა ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ავზი 94“-ს;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ავზი 94“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კრწანისის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო